ხელშეკრულება №120

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 22 იანვარი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტრადოსი“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორის ხათუნა მღებრიშვილის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანია: მთარგმნელობითი მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა (CPV9530000).

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტი;

2.2. დაფინანსების წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, „ახალგაზრდების გლობალური თამბქოს კვლევის“ პროექტი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 336 (სამასოცდათექვსმეტი) ლარს (მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით).

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: ქართულ ენაზე შედგენილი კითხვარის თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, დანართი #1-ის შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს „მომსახურების“ ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 „მომსახურების“ მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ან/და ეტაპობრივად „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 „მომსახურების“ მიწოდების ადგილი - ქ.თბილისი, მ. ასათიანის ქ. #9.

6.3 „მომსახურების“ მიწოდების ვადაა - 2014 წლის 22 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „მომსახურების“ მიწოდების დასრულების შემდგომ, „შემსყიდველის“ მიერ ფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია.

7.2 გაწეული „მომსახურების“ შესახებ სათანადო დოკუმენტაციას “შემსყიდველის” მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო “მიმწოდებლის” მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.3 „მომსახურების“ მიწოდებისას გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებლმა“ უნდა წარმოადგინოს ანგარიში გაწეული „მომსახურების“ შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას „მომსახურების“ რაოდენობა, ერთეულის ფასის და სხვა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

8.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, „მომსახურების“ მიწოდების შემდეგ და სათანადო დოკუმენტაციის ხელის მოწერის დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1 აცნობოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ მიწოდების შესახებ.

9.1.2 აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

9.2.2 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის აუცილებელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის“ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი ან/და შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვილი პირი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

10.2 ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება “მიმწოდებელს”.

11. პირგასამტეხლო

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

11.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

11.3 ხელშეკრულების გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი მხარე ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

11.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელიც დადასტურებული იქნება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგაოს ან/და თაამდებობის პირის მიერ.

12.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლო ისტანციებს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2 ხელშეკრულებ„მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ის ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. ხელშეკრულების ეგზემპლარები

19.1 ხელშეკრულება დგება სამ იურიდიულად თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან"

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა	შპს „ტრადოსი"
კონტროლისა და საზოგადოებრივი	მის. თბილისი, თავისუფლების მ-ნი #4
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	საიდენთიფიკაციო კოდი: 204544029
მ.ასათიანის ქ. #9	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351	ბანკის კოდი: BAGAGE22
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	ა/ა GE09BG0000000 234722800
კოდი TRESGE22	ტელ. 2 92 30 70
ანგარიშის # GE24NB03301100200165022	დირექტორი:
გენერალური დირექტორი:	
_____ ამირან გამყრელიძე	_____ ხათუნა მღებრიშვილი
მ.ა.	მ.ა.

დანართი #1

#	მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	გვერდების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	მთარგმნელობითი მომსახურება ქართული ენიდან სომხურ ენაზე	გვერდი	12	14	168
2	მთარგმნელობითი მომსახურება ქართული ენიდან აზერბაიჯანულ ენაზე	გვერდი	12	14	168
ჯამი:					**336**

შპს "ტრადოსი"

დირექტორი _____ ხათუნა მღებრიშვილი

TRADOS
ტრადოსი

ახალგაზრდების გლობალური თამბაქოს კვლევა

2013 წელი

ინსტრუქცია

- გთხოვთ, პასუხის გაცემამდე წაიკითხეთ კითხვა ყურადღებით
- აირჩიეთ პასუხი, რომელიც თქვენთვის მისაღებია
- აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- პასუხის ფურცელზე ფანქრით მონიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხის რგოლი შემდეგნაირად:

  ☺ აი ასე: ●

- თუ შეცდომით მონიშნავთ პასუხს, არ ინერვიულოდ, საშლელით წაშალეთ კარგად და შემდეგ მონიშნეთ სხვა პასუხი

მაგალითი:

24. **გჯერათ, რომ თევზი ცხოვრობს წყალში?**
    a. რა თქმა უნდა
    b. ალბათ კი
    c. ალბათ არა
    d. არავითარ შემთხვევაში

24. ● B C D E F G H

პირველი რამდენიმე კითხვა ეხება ბიოგრაფიულ მონაცემს თქვენს შესახებ

C1. **რამდენი წლის ხართ?**
    a. 11 წლის ან უფრო პატარა
    b. 12 წლის
    c. 13 წლის
    d. 14 წლის
    e. 15 წლის
    f. 16 წლის
    g. 17 წლის ან უფრო მეტის

C2. **თქვენი სქესი:**
    a. მამრობითი

b. მდედრობითი

C3. **რომელ კლასში ხართ?**

a. 7
b. 8
c. 9
d. 10

C4. **კვირის განმავლობაში, საშუალოდ რა თანხა გაქვთ დასახარჯათ?**

a. მე არ მაქვს ხოლმე სახარჯო ფული
b. 5 ლარზე ნაკლები
c. 5 ლარი
d. 7 ლარი
e. 8 ლარი
f. 10 ლარი
g. 15 ლარი

ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე შეკითხვა ეხება თქვენს მიერ თამბაქოს მოხმარებას

C5. **მოგიწევიათ თუ არა ოდესმე სიგარეტი, თუნდაც ერთი-ორი ნაფაზი?**

a. დიახ
b. არა

C6. **რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად გასინჯეთ სიგარეტი?**

a. მე არასოდეს მომიწევია სიგარეტი
b. 7 წლის ან უფრო პატარა
c. 8 ან 9 წლის
d. 10 ან 11 წლის
e. 12 ან 13 წლის
f. 14 ან 15 წლის
g. 16 წლის ან უფრო მეტის

C7. **გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, რამდენი დღე ეწეოდით სიგარეტს?**

a. 0 დღე
b. 1 ან 2 დღე
c. 3-დან 5 დღემდე
d. 6 დან 9 დღემდე
e. 10-დან 19 დღემდე
f. 20 -დან 29 დღემდე
g. 30 დღე

C8. **გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, იმ დღეებში როდესაც ეწეოდით, დღეში ჩვეულებრივ რამდენ ღერ სიგარეტს მოიხმარდით?**

a. მე არ მომიწევია სიგარეტი გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში
b. 1 ღერ სიგარეტზე ნაკლები დღეში
c. 1 ღერი სიგარეტი დღეში
d. 2- დან 5 ღერ სიგარეტამდე დღეში

e. 6-დან 10 ღერ სიგარეტამდე დღეში
f. 11-დან 20 ღერ სიგარეტამდე დღეში
g. 20 ღერ სიგარეტზე მეტი დღეში

C9. გაგისინჯავთ თუ არა ოდესმე მოსაწევი თამბაქოს რომელიმე სახეობა სიგარეტის გარდა (მაგ., სიგარა, სიგარელა და ა.შ.)?
a. დიახ
b. არა

C10. გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, მოგიწევიათ თუ არა მოსაწევი თამბაქოს რომელიმე სახეობა სიგარეტის გარდა (მაგ., სიგარა, სიგარელა და ა.შ.)?
a. დიახ
b. არა

C11. დილით გაღვიძებისას პირველ რიგში ეწევით თუ არა სიგარეტს ან გაქვთ თუ არა მოწევის სურვილი?
a. მე არ ვეწევი სიგარეტს
b. არა, დილით გაღვიძებისთანავე არასდროს ვეწევი სიგარეტს და არც მაქვს მოწევის სურვილი
c. დიახ, დილით ზოგჯერ გაღვიძებისთანავე ვეწევი სიგარეტს ან მაქვს მოწევის სურვილი
d. დიახ, დილით ყოველთვის გაღვიძებისთანავე ვეწევი სიგარეტს ან მაქვს მოწევის სურვილი

C12. სიგარეტის მოწევიდან რამდენი ხნის შემდეგ გაქვთ ძლიერი სურვილი, რომ კვლავ მოწიოთ?
a. მე საერთოდ არ ვეწევი სიგარეტს
b. სიგარეტის მოწევის შემდეგ არასდროს მაქვს ძლიერი სურვილი, რომ კვლავ მოვწიო
c. 60 წუთის განმავლობაში
d. ერთიდან ორ საათამდე
e. 2-4 საათზე მეტი დროის შემდეგ
f. 4 საათზე მეტი , თუმცა ერთ დღეზე ნაკლები დროის განმავლობაში
g. 1-დან 3 დღემდე
h. 4 დღის ან მეტი დროის შემდეგ

O13. ძირითადად სად ეწევით?
a. მე არ ვეწევი
b. სახლში
c. სკოლაში
d. მეგობრების სახლში
e. დღესასწაულებზე
f. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგ., პარკებში, სავაჭრო ცენტრებში, ქუჩაში)
g. სხვა ადგილებში

C14. გაგისინჯავთ თუ არა არამოსაწევი თამბაქოს რომელიმე სახეობა (მაგ., საღეჭი თამბაქო)?
a. დიახ
b. არა

C15. ბოლო 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, მოგიხმარიათ თუ არა არამოსაწევი თამბაქოს (მაგ., საღეჭი თამბაქო) რომელიმე სახეობა?
a. დიახ
b. არა

ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე კითხვა ეხება თქვენს დამოკიდებულებას სიგარეტისმოწევის თავის დანებების შესახებ

C16. გნებათ, თავი დაანებოთ სიგარეტის მოწევას?
   a. მე არასოდეს მომიწევია სიგარეტი
   b. ამჟამად არ ვეწევი
   c. დიახ
   d. არა

C17. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში თუ გიცდიათ სიგარეტისთვის თავის დანებება?
   a. მე არასოდეს მომიწევია სიგარეტი
   b. მე არ მომიწევის სიგარეტი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში
   c. დიახ
   d. არა

C18. თქვენი აზრით, შეძლებთ თუ არა შეწყვითოთ სიგარეტის მოწევა, თუ მოინდომებთ?
   a. მე არასოდეს მომიწევია სიგარეტი
   b. ამჟამად სიგარეტს არ ვეწევი
   c. დიახ
   d. არა

C19. ოდესმე მიგიღიათ დახმარება ან რჩევა მოწევის თავის დანებებასთან დაკავშირებით?
   (აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
   a. მე არასოდეს მომიწევია სიგარეტი
   b. დიახ, სპეციალურ პროგრამაში მონაწილეობით ან პროფესიონალებისგან
   c. დიახ, მეგობრებისგან
   d. დიახ, ჩემი ოჯახის წევრებისგან
   e. დიახ, სპეციალურ პროგრამაში მონაწილეობით ან პროფესიონალებისგან და მეგობრებისგან ან ჩემი ოჯახის წევრებისგან
   f. არა

O20. რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც შეწყვიტეთ სიგარეტის მოწევა?
   (ამოირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
   a. მე არასოდეს მომიწევია სიგარეტი
   b. მე არ შემიწყვეტია სიგარეტის მოწევა
   c. ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით
   d. ფულის დაზოგვის მიზნით
   e. ჩემ ოჯახს არ მოწონდა რომ ვეწეოდი
   f. ჩემ მეგობრებს არ მოწონდათ რომ ვეწეოდი
   g. სხვა მიზეზის გამო

O21. გაგიჭირდათ სიგარეტი მოწევისთვის თავის დანებება?
   a. მე არასოდეს ვეწეოდი
   b. მე არ შემიწყვეტია სიგარეტის მოწევა
   c. ძალიან ძნელი იყო
   d. საკმაოდ ძნელი იყო

e. საკმაოდ ადვილი იყო
f. ძალიან ადვილი იყო

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება მეორადი კვამლის ზემოქმედებას

C22. უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში, რამდენი დღის განმავლობაში ეწეოდა ვინმე თქვენს სახლში თქვენი თანდასწრებით?
a. 0 დღე
b. 1-დან 2 დღემდე
c. 3-დან 4 დრემდე
d. 5-დან 6 დღემდე
e. 7 დღე

O23. რამდენად ხშირად ხედავთ, რომ თქვენი მამა (ან მამინაცვალი) ეწევა სიგარეტს სახლში?
a. არ მყავს მამა/არ მინახავს ასეთი ფაქტი
b. თითქმის ყოველ დღე
c. ხანდახან
d. არასოდეს

O24. რამდენად ხშირად ხედავთ, რომ თქვენი დედა (ან დედინაცვალი) ეწევა სიგარეტს სახლში?
a. არ მყავს დედა/არ მინახავს ასეთი ფაქტი
b. თითქმის ყოველ დღე
c. ხანდახან
d. არასოდეს

O25. რამდენად ხშირად ხედავთ, რომ თქვენი და/ძმა ეწევა სიგარეტს სახლში?
a. არ მყავს /არ მინახავს ასეთი ფაქტი
b. თითქმის ყოველ დღე
c. ხანდახან
d. არასოდეს

O26. რამდენად ხშირად ხედავთ, რომ სხვა ადამიანები ეწევიან სიგარეტს თქვენს სახლში?
a. არ მინახავს ასეთი ფაქტი
b. თითქმის ყოველ დღე
c. ხანდახან
d. არასოდეს

C27. უკანასკნელი 7 დღის მანძილზე, რამდენი დღის განმავლობაში მოუწევიათ სიგარეტი თქვენი თანდასწრებით, თქვენი სახლის გარდა სხვა დახურულ შენობაში, მაგალითად, სკოლაში, მაღაზიაში, რესტორანში, კაფეში, კინოში, თეატრში, სავაჭრო ან გასართობ ცენტრებში და ა.შ.?
a. 0 დღე
b. 1-დან 2 დღემდე
c. 3-დან 4 დრემდე
d. 5-დან 6 დღემდე
e. 7 დღე

O28. უკანასკნელი 7 დღის მანძილზე, რამდენი დღის განმავლობაში მოუწევიათ სიგარეტი თქვენი თანდასწრებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მეტროში, ავტობუსში, სამარშუტო ტაქსში, კერძო ტაქსში)?

a. უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში მე არ მისარგებლია საზოგადოებრივი ტრანსპორტით
b. მე ვისარგებლე საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მაგრამ იქ არავის მოუწევია სიგარეტი
c. 1-დან 2 დღემდე
d. 3-დან 4 დღემდე
e. 5-დან 6 დღემდე
f. 7 დღე

C29. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, რამდენი დღის განმავლობაში მოუწევიათ სიგარეტი თქვენი თანდასწრებით ღია (არა დახურულ) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, მაგალითად, სათამაშო მოედნებზე, პარკებში, სანაპიროზე და ა.შ.?

a. 0 დღე
b. 1-დან 2 დღემდე
c. 3-დან 4 დრემდე
d. 5-დან 6 დღემდე
e. 7 დღე

C30. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, დაგინახავთ თუ არა ვინმე, რომელიც ეწეოდა სიგარეტს სკოლის შენობაში ან ეზოში?

a. დიახ
b. არა

C31. ფიქრობთ, რომ თქვენი თანდასწებით სხვა ადამიანების მიერ სიგარეტის მოწევა მავნებელია თქვენთვის?

a. არავითარ შემთხვევაში
b. ალბათ არა
c. ალბათ კი
d. რა თქმა უნდა კი

C32. ემხრობით თუ არა მოწევის აკრძალვას საზოგადოების თავშეყრის დახურულ ადგილებში (როგორიცაა რესტორანი, სკოლა, მაღაზია, კონო, თეატი)?

a. დიახ
b. არა

C33. ემხრობით თუ არა მოწევის აკრძალვას საზოგადოების თავშეყრის დახურულ ადგილებში (როგორიცაა, სათამაშო მოედნები, პარკები, სანაპიროები სპორტული მოედნები და ა.შ)?

a. დიახ
b. არა

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება სიგარეტის მოპოვებას.

C34. გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში,როდესაც ბოლოს მოწიეთ სიგარეტი, როგორ მოიპოვეთ იგი?

a. მე არ მომიწევია სიგარეტი გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში
b. სიგარეტი ვიყიდე მაღაზიაში
c. სიგარეტი ვიყიდე ქუჩის გამყიდველისგან
d. სიგარეტი ვიყიდე ჯიხურში

e. სიგარეტი ვიყიდე აპარატის საშუალებით
f. სიგარეტი მოვიპოვე სხვა ადამიანისაგან
g. სიგარეტი მოვიპოვე სხვა გზით

C35. **გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, გითხრათ თუ არა უარი გამყიდველმა სიგარეტის მოყიდვაზე, თქვენი ასაკის გამო?**
a. მე არ მიცდია მეყიდა სიგარეტი მაღაზიაში გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში
b. დიახ, რამდენიმე გამყიდველმა უარი მითხრა მოეყიდა ჩემთვის სიგარეტი, ჩემი ასაკის გამო
c. არა, ჩემი ასაკის გამო არავის უთქვამს უარი სიგარეტის მოყიდვაზე

C36. **გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, როდესაც ბოლოს იყიდეთ სიგარეტი, რა ფორმით შეიძინეთ იგი?**
a. მე არ მიყიდია სიგარეტი ბოლო 30 დრის განმავლობაში
b. სიგარეტი ვიყიდე კოლოფით
c. სიგარეტი ვიყიდე ღერებით
d. სიგარეტი ვიყიდე ბლოკით
e. ვიყიდე გადახვეული თამბაქო
f. ვიყიდე თუთუნი და ჩემით გადავახვიე

O37. **უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, რა მარკის სიგარეტს ეწეოდით ძირითადად? (აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)**
a. მე არ მომიწევია სიგარეტი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში
b. ერთ კონკრეტულ სიგარეტს არ ვეწევი
c. ვინსტონი
d. კენტი
e. მალბორო
f. პირველი
g. ემ ემ
h. სხვა

O38. **ზოგადად, ადვილია თუ ძნელი თქვენთვის სიგარეტის ყიდვა მაღაზიაში?**
a. სიგარეტს არ ვყიდულობ მაღაზიაში
b. ძალიან ძნელი
c. საკმაოდ ძნელი
d. საკმაოდ ადვილი
e. ძალიან ადვილი

O39. **შეგიძლიათ თუ არა სიგარეტის ყიდვა სკოლასთან ახლოს?**
a. დიახ
b. არა
c. არ ვიცი

C40. **თქვენი აზრით, რა ღირს საშუალოდ ერთი კოლოფი სიგარეტი?**
a. 0,80 ლარი
b. 1 ლარი
c. 1,20 ლარი
d. 1,50 ლარი

e. 2 ლარი
f. 2,50 ლარი
g. 3 ლარი
h. არ ვიცი

O41. როგორ ფიქრობთ, თამბაქოს ფასი უნდა გაიზარდოს?
a. დიახ
b. არა

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება თქვენს ცოდნას მედიაში (მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში) გავრცელებული თამბაქოს საწინააღმდეგო ცნობების შესახებ

C42. გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში თუ გინახავთ ან მოგისმენიათ თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო ინფორმაცია ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით, ბილბირდებზე (სარეკლამო ფირნიშზე), გაზეთებში, ჟურნალებში ან ფილმებში?
a. დიახ
b. არა

C43. გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში თუ გინახავთ ან მოგისმენიათ თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო ინფორმაცია სპორტულ ღონისძიებაზე, ბაზრობაზე, კონცერტზე ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?
a. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მე არ ვყოფილვარ სპორტულ ღონისძიებაზე, ბაზრობაზე, კონცერტზე ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?
b. დიახ
c. არა

C44. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, გინახავთ თუ არა სამედიცინო გაფრთხილებები სიგარეტის კოლოფებზე?
a. დიახ, მაგრამ ბევრი არ მიფიქრია ამის შესახებ
b. დიახ და ამან მაფიქრებინა მოწევისთვის თავის დანებება ან მოწევის არ დაწყება
c. არა

O45. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, გინახვთ თუ არა გამაფრთხილებელი ნიშნები,სადაც აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთათვის სიგარეტის მიყიდვა აკრძალულია?
a. დიახ
b. არა

C46. უკანასკნელი 12 თვის (1 წლის) განმავლობაში, ჩაგტარებიათ თუ არა გაკვეთილი თაბმაქოს მავნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე?
a. დიახ
b. არა
c. არ ვიცი

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება თქვენს ცოდნას თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის შესახებ

C47. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, გინახავთ თუ არა ადამიანები სიგარეტის მოწევის პროცესში ტელევიზორის, ვიდეოს ან ფილმის ყურების დროს?

a. მე არ მიყურებია ტელევიზორისთვის და არ მინახავს ვიდეო ან ფილმი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში
b. დიახ
c. არა

C48. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, გინახავთ თუ არა თამბაქოს ნაწარმის რეკლამა ან პოპულარიზაცია სავაჭრო ობიექტებში (მაგ., სასურსათო მაღაზიებში, დიდი სუპერმარკეტებში, სავაჭრო ცენტრებში, ჯიხურებში)?

a. მე არ ვყოფილვარ სავაჭრო ობიექტებში უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში
b. დიახ
c. არა

O49. გაიხსენეთ, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ნანახი თამბაქოს რეკლამები. რომელი მარკის რეკლამა მოგეწონათ განსაკუთრებულად?

a. მე არ მინახავს არცერთი რეკლამა თამბაქოზე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში
b. მე არ მომწონებია არცერთი რეკლამა განსაკუთრებულად
c. ვინსტონის
d. კენტის
e. მალბოროს
f. ქემელის
g. პრესტიჟის
h. სხვა ბრენდის

C50. გქონიათ თუ არა რაიმე ნივთი (მაგ., სპორტული მაისური, სანთებელა, სათვალე ან სხვა) რომელზეც გამოსახული ყოფილა სიგარეტის ბრენდის დასახელება ან სურათი?

a. დიახ
b. ალბათ
c. არა

C51. გაქვთ თუ არა რაიმე ნივთი ((მაგ., მაისური, კალამი, ზურგჩანთა) რომელზეც გამისახულია სიგარეტის მარკის ლოგო?

a. დიახ
b. არა

C52. შემოუთავაზებია თუ არა თამბაქოს კომპანიაში მომუშავე პირს თამბაქოს ნაწარმი უფასოდ?

a. დიახ
b. არა

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება თქვენს დამიკიდებულებას და აზრს თამბაქოს მოხმარების შესახებ

C53. მოწევთ თუ არა სიგარეტს, თუ თქვენი საუკეთესო მეგობარი შემოგთავაზებთ მას?

a. არავითარ შემთხვევაში არ მოვწევ
b. ალბათ არ მოვწევ
c. ალბათ მოვწევ

d. აუცილებლად მოვწევ

C54. როგორ ფიქრობთ, მომდევნო 12 თვის განმავლობაში, მოწევთ თუ არა სიგარეტს?

a. არავითარ შემთხვევაში არ მოვწევ
b. ალბათ არ მოვწევ
c. ალბათ მოვწევ
d. აუცილებლად მოვწევ

C55. როგორ ფიქრობთ, ადვილია თუ არა თავის დანებება სიგარეტისთვის?

a. არა
b. ალბათ არა
c. ალბათ კი
d. დიახ

C56. როგორ ფიქრობთ, სიგარეტის მოწევა ხელს უწყობს ადამიანს, რომ თავი იგრძნოს მეტად თუ ნაკლებად კომფორტულად დღესასწაულებზე, წვეულებებზე ან თავშეყრის სხვა ადგილებში?

a. მეტად კომფორტულად
b. ნაკლებად კომფორტულად
c. არ არის განსხვავება მწეველსა და არამწეველს შორის

C57. ეთანხმებით თუ არა შემდეგ წინადადებას: „მე ვფიქრობ მომეწონება სიგარეტის მოწევა"?

a. მე უკვე ვეწევი სიგარეტს
b. მტკიცედ ვეთანხმები
c. ვეთანხმები
d. არ ვეთანხმები
e. არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები

O58. თქვენი მშობლები ეწევიან სიგარეტს?

a. არცერთი
b. ორივე
c. მხოლოდ მამა
d. მხოლოდ დედა
e. არ ვიცი

O59. როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდას, რომელიც სიგარეტს ეწევა, ჰყავს უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები მეგობარი?

a. მეტი მეგობარი
b. ნაკლები მეგობარი
c. არ განსხვავდება არამწეველისაგან

O60. როგორ ფიქრობთ, სიგარეტის მოწევა ხდის ახალგაზრდას უფრო მეტად ან ნაკლებად მიმზიდველს?

a. მეტად მიმზიდველს
b. ნაკლებად მიმზიდველს
c. არ განსხვავდება არამწეველისაგან

O61. როგორ ფიქრობთ სიგარეტის მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის?

a. რასაკვირველია არა

b. ალბათ არა
c. ალბათ კი
d. რასაკვირველია კი

O62. თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს თქვენთან თუ უსაუბრია მოწევის მავნე შედეგებზე?
a. დიახ
b. არა

O63. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, რომელიმე გაკვეთილზე თუ განგიხილავთ ის მიზეზები, როს გამოც ახალგაზრდები იწყებენ მოწევას?
a. დიახ
b. არა
c. არ ვარ დარწმუნებული

O64. რამდენად ხშირად ხედავთ მასწავლებლებს, რომლებიც ეწევიან სიგარეტს სკოლის შენობაში?
a. თითქმის ყოველ დღე
b. ხანდახან
c. არსდროს
d. არ ვიცი

O65. რამდენად ხშირად ხედავთ მასწავლებლებს, რომლებიც ეწევიან სიგარეტს სკოლის ეზოში?
a. თითქმის ყოველ დღე
b. ხანდახან
c. არსდროს
d. არ ვიცი

O66. როგორ ფიქრობთ უნდა აიკრძალოა არასრულწლოვან პირთათვის სიგარეტის მიყიდვა?
a. დიახ
b. არა

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება ელექტრონულ სიგარეტს.

E67. გსმენიათ თუ არა ელექტონული სიგარეტის შესახებ?
a. დიახ
b. არა

E68. უკანასკნელი 30 დღის (1 თვის) მანძილზე, რამდენი დღე გამოიყენეთ ელექტრონული სიგარეტი?
a. 0 დღე
b. 1-დან 2 დღემდე
c. 3-დან 5 დღემდე
d. 6-დან 9 დღემდე
e. 10-დან 19 დღემდე
f. 20-დან 29 დღემდე
g. 30 დღე

შემდეგი რამდენიმე კითხვა ეხება ჩილიმის მოხმარებას.

S69. მოგიწევიათ თუ არა ოდესმე ჩილიმი, თუნდაც ერთი-ორი ნაფაზი?

a. დიახ
b. არა

S70. რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად გასინჯეთ ჩილიმი?
a. მე არასოდეს მომიწევია ჩილიმი
b. 7 წლის ან უფრო პატარა
c. 8 ან 9 წლის
d. 10 ან 11 წლის
e. 12 ან 13 წლის
f. 14 ან 15 წლის
g. 16 წლის ან უფროსი

S71. გასული 30 დღის (ერთი თვის) განმავლობაში, რამდენი დღე ეწეოდით ჩილიმს?
a. 0 დღე
b. 1-დან 2 დღემდე
c. 3-დან 5 დღემდე
d. 6-დან 9 დღემდე
e. 10-დან 19 დღემდე
f. 20-დან 29 დღემდე
g. 30 დღე

S72. გაქვთ სურვილი თავი დაანებოთ ჩილიმის მოწევას ახლავე?
a. მე არასდროს მომიწევია ჩილიმი
b. ამჟამად არ ვეწევი ჩილიმს
c. დიახ
d. არა

S73. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, გიცდიათ თავი დაგენებებინათ ჩილიმის მოწევისათვის?
a. მე არასდროს მომიწევია ჩილიმი
b. მე არ მომიწევია ჩილიმი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში
c. დიახ
d. არა

S74. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, ბოლოს სად მოწიეთ ჩილიმი?
(აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
a. მე არ მომიწევია ჩილიმი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში
b. სახლში
c. ჩილიმ ბარში
d. რესტორანში
e. კაფეში ან კლუბში
f. სხვა ადგილას

S75. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, უთქვამს თუ არა ვინმეს უარი ჩილიმით მომსახურებაზე, თქვენი ასაკის გამო?
a. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში არ დამჭირვებია ჩილიმით მომსახურება

b. დიახ, რამდენჯერმე უარი მითხრეს ჩილიმით მომსახეურეგაზე, ჩემი ასაკის გამო

c. არა, არავის უთქვამს უარი ჩილიმით მომსახურეგაზე, ჩემი ასაკის გამო

უღრმესი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!